განკარგულება:**g-31. 31260203**
თარიღი:**20/01/2026**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №3**

**2026 წლის 20 იანვარი**

**ქ. ლანჩხუთი**

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტურქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2026 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა

| N | დასახელება | სავარაუდო ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა | 290767.22 | |
| | | | |
| | | | |
| | | 290767.22 | |